

⑦

მთარ ქაჯანია

მეგრულ-ქართული ლექსიკონი

|

ტომი

(ა - ვ)

გამომცემლობა „ნაქარი“



თბილისი, 2001

სარედაქციო საბჭო: ც. ბარბაქაძე (*ასსუზისმგებელი მდივანი*), ვ. ბოედერი,
თ. გამყრელიძე (*მთავარი რედაქტორი*), ი. გიპერტი, გ. კარტოზია,
რ. მეტრეველი, ალ. ონიანი, ვ. სართანია, ზ. სარჯველაძე
(*მთავარი რედაქტორის მოადგილე*), შ. ფენრიხი, კ.პ. შმიდტი

ტომის რედაქტორი: ზ. სარჯველაძე

რეცენზენტები: გ. კარტოზია,
ი. ქობალავა

საგამომცემლო ჯგუფი:

გ. ბაგრატიონი
ნ. კალანდაძე
ი. მარგველაშვილი
ნ. ქვაჩაზია
გ. შერვაშიძე
ნ. ჩაველიშვილი
ნ. ჩიტაია
დ. ჯაბუა

© – ოთარ ქაჯაია, 2001

© – გამომცემლობა „ნეკერი“, 2001

ISBN 99928-58-48-6 (სამტომეული)

ISBN 99928-58-49-4 (I ტომი)

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. რედაქტორისაგან	7-14
2. წინასიტყვაობა	15-16
3. შესავალი. ლექსიკონით სარგებლობის შესახებ	17-24
4. ძირითადი ტაბულები	25
5. ტაბულა I: სპეციფიკური ბგერები მეგრულში	25-26
6. ტაბულა II: ბგერათა დაჯგუფება	27
7. ტაბულა III: ბრუნვები და მათი დაბოლოებანი	28
8. ტაბულა IV: საკუთარ სახელთა ბრუნება	29
9. ტაბულა V: საზოგადო სახელთა ბრუნება	30-34
10. ტაბულა VI: ზედსართავი სახელი	35-40
11. ტაბულა VII: რიცხვითი სახელი	41-42
12. ტაბულა VIII: ნაცვალსახელთა ჯგუფები და ბრუნება	43-50
13. ტაბულა IX: პირისა და რიცხვის ნიშნები	51
14. ტაბულა X: დ რ ო	52
15. ტაბულა XI: კ ი ლ ო	53-54
16. ტაბულა XII: გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ა	55
17. ტაბულა XIII: გ ვ ა რ ი	56-57
18. ტაბულა XIV: ქცევის სახეები და ნიშნები	57-58
19. ტაბულა XV: შუალობითი კონტაქტის წარმოება	58
20. ტაბულა XVI: ზ მ ნ ი ს ნ ი ნ ე ბ ი	59-61
21. ტაბულა XVII: თემის ნიშნები	61
22. ტაბულა XVIII: მწკრივები და სერიები	62-63
23. ტაბულა XIX: უ ლ ლ ე ბ ა	64-65
24. ტაბულა XX: მოქმედებითი გვარის ზმნათა ულლება	66-69
25. ტაბულა XXI: ვნებითი გვარის ზმნათა ულლება	70-106
ა) დინამიკური ვნებითი	70-91
ბ) შესაძლებლობის ვნებითი	91-96
გ) სტატიკური ვნებითი	97-106

26. ტაბულა XXII: საშუალო გვარის ზმნათა უღლება	107-113
ა) საშუალო-მოქმედებით ზმნათა უღლება	107-110
ბ) საშუალო-ვნებით ზმნათა უღლება	110-113
27. ტაბულა XXIII: თავისებური ზმნები	114-141
28. ტაბულა XXIV: სანყისი	141-142
29. ტაბულა XXV: მიმღეობა	143-146
30. ტაბულა XXVI: ზმნი ზედა	147-149
31. გამოყენებული ლიტერატურა	150-153
32. შემოკლებანი	154-158
1. მასალები, ტექსტები	154-155
2. ლექსიკონები	155-156
3. ტერმინები	157-158
4. პირობითი ნიშნები	158
33. ანბანი	159

34. ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ა	161-208
ბ	209-276
გ	277-422
დ	423-524
ე	525-576
ვ	577-586



რ ე ლ ა ქ ო რ ი ს ა პ ა ნ ე

ქართველური ენები შეადგენს მონათესავე ენათა ოჯახს. ეს ენები მოიცავს ცენტრალური და დასავლეთი კავკასიონისა და ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიას. ენათა ოჯახის სახელწოდება უკავშირდება ეთნონიმს – ქართველი.

ქართველურ ენათა ოჯახში შედის ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ენები. მეგრული და ლაზური სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ მიჩნეულია ერთი და იმავე ენის დიალექტებად (ამ ენას ზანურს, ან კოლხურს უწოდებენ). ქართველური ენები (ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური) ქმნიან მონათესავე ენათა ოჯახს. ამ ენათა ახლო ნათესაობა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შენიშნეს (Güldenstädt, Reisen durch Rußland und caucasischen Gebürge, I, Petersburg, 1787; II - 1791), მეცნიერულად კი დაასაბუთეს XIX საუკუნეში. გიულდენშტედტმა მიუთითა მეგრულისა და ქართულის დიდ სიახლოვეზე (Güldenstedt, I, 342; 413). მანვე აღნიშნა, რომ სვანური უფრო დაშორებულია ქართულს, თუმცა ცხადია მისი კავშირი ქართულთან (I, 342; 413). ასევე გარკვევით მიაჩნებოდა ქართულის, მეგრულისა და სვანურის ნათესაობას ი. კლაპროტიც. ამას გარდა, როგორც აღნიშნა გ. როზენმა, ი. კლაპროთმა უდავოდ დაასაბუთა ლაზურის ნათესაობა ქართველურ (იბერიულ) ენებთან (G. Rosen, Über die Sprache der Lasen: Abhandlungen der Königlichen Akademie der Wissenschaften zu Berlin, Aus dem Jahre 1843, Philologische und historische Abhandlungen, Berlin, 1845,2).

სავარაუდოა, რომ საერთოქართველური ფუძე-ენა დაიშალა დაახლოებით 5 ათასწლეულის წინ. თანამედროვე ქართველური ენები შეიქმნა საერთოქართველური ფუძე-ენის ყველაზე მსხვილი და მნიშვნელოვანი დიალექტების საფუძველზე.

არსებობს მრავალი მოსაზრება ქართველური ენების ენათა სხვადასხვა ოჯახებთან (ინდოევროპული, სემიტური, დრავიდული, კავკასიური ...), აგრეთვე ცალკეულ ენებთან (ბასკური, ეტრუსკული ...) ნათესაობის შესახებ. არცერთი ამგვარი ჰიპოთეზა არ არის დამტკიცებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.

ქართველურ ენათა ოჯახში ერთადერთი სამწერლობო ენაა ქართული, რომლის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქეთ ყველა ქართველური ტომის წარმომადგენლებს. ამიტომ ქართული წარმოადგენს ერთგვარ Lingua franca-ს, რომლის მეშვეობით ყველა ქართველური ტომის წარმომადგენლები ერთმანეთთან ურთიერთობენ, ეზიარებიან განათლებასა და კულტურას.

მეგრული ენა გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში და ჩრდილოეთით მოსაზღვრე მთიან ტერიტორიაზე. გამოყოფენ სენაკურსა და ზუგდიდურ-სამურზაყანოულ დიალექტებს.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება დასავლური ქართველური ტომების, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე არსებული ტერიტორიული ერთეულების აღმნიშვნელი სახელწოდებები.

დოკუმენტურად ყველაზე ადრე გვხვდება მეგრულ სახელი: აღესრულა კურთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი, *აჭენის 835 წ. წარწ.*

ეს ეთნონიმი შემდგომში არაერთგზის გამოვიხინდება: იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე, და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი და ალაოჯრანა და უფალ და უკაცურ-ყო ქუეყანაჲ მეგრელთა და აფხაზთაჲ, *აგ. ძეგლ. III 258,8*; თვით აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქუჯისასა, ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ტყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა მუზა დიდი, *ივეკ 258,8* რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ თესთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს, *ქართლ. ცხოვრ. I 3,4* და სხვ.

„ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება აგრეთვე მეგრ- ვარიანტი:

ოვსთა და მეგრთა გარდამოვლეს მთა მცირე და შეკრებს ივით და ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი, *ქართლ. ცხოვრ. I 57,4*; არა ვინ იპოვა ეგეოდენთა მთ სპათა შინა ბერძენთა, სომეხთა, ოვსთა და მეგრთა და ქართველთა მარტოდმბრძოლი ამაზასპისი, *იქვე 57,18*; მეგრნი დადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა, *იქვე 53,20*.

„ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება ეგრ-ის-/ეგრ- ტოპონიმი: მისცა ქუეჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვთვან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, *ქართლ. ცხოვრ. I 24,3-4*; საურმაგ ... სუხანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითვან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, *იქვე 27,9-10*; მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით ვალმართ ქართლს, სომხითს, რანს, პერეთს, მოჯაკანს და ეგრს, *იქვე 65,22-23*; მამა მათი გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრსა შინა, *იქვე 235,10-11* და სხვ..

ცხადია, რომ ეგრ-ის- ტოპონიმი ნანარმოებია ეგრ- (<ეგურ-) სახელისაგან. გეოგრაფიულ სახელთა ამგვარი წარმოება დამახასიათებელია ქართულისათვის (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, 114-115; 129). ირკვევა, რომ ეს წარმოება საერთოქართველური ფუძე-ენისათვისაც იყო დამახასიათებელი (Онiani А. П., Сарджвеладзе З. А. Против извращения вопросов грузинской топонимики: мацне (ენისა და ლიტერატურის სერია), 1971, 3, 172-174).

შატბერდის კრებულსა და „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება ეგრ-ის-წყალ- პიდრონიმი: თანაჲყვანდა აღუქსანდრეს მეფესა აზოა, ძჲ არიან ქართლისა მეფისა, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას შერეთი, და ეგრისწყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა, *შატბ. კრებ. 320,20-22*; მოსცა ქუეჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვთვან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, *ქართლ. ცხოვრ. I 24,3-4*; ეგრისწყალს ქუეშით დარჩა ბერძენთა, *იქვე 24,1*.

XI საუკუნიდან დასტურდება სა-მეგრელო ტოპონიმი, რომელიც *მეგრეულ* ფუძისაგან იწარმოება: მიონია ტრაპეზუნდად, ქალაქსა მას სამეგრელოასასა, *A-1103 234r,3-5b*; მიონია რაჲ ტრაპეზუნტედ, სანახებთა მათ სამეგრელოასათა, *A-500 316v,6-8*; ესრეთ გუემულნი ექსორია-ყენეს სამეგრელოს, *Jer.-74 526,1; A-193 289r,20-21; H-886 234v*.

ერთადერთ შემთხვევაში დასტურდება ოდიშ- სახელწოდება: ღმერთმან უწყის, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭიოვე, მაგრა დედაი ოდიშს დანერლი იყო და სიტყუასა სცვალებდა, *H-1345 201r-201v*.

ოდიშ- ტოპონიმი, გ. კლიმოვის თვალსაზრისით, შესაძლოა უკავშირდებოდეს სვან. ად-რ/ჰად- რა „იელი; azalea (pontica)“-ს ად-/ჰად- ძირს (G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York, 1998, 1). მისი აზრით, ეს ფუძე უნდა შეიცავდეს მცენარეთა სიმრავლის გამომავტველ-რა სუფიქსს. გ. კლიმოვი ვარაუდობს, რომ ამავე ძირს უნდა უკავშირდებოდეს სვანური ტოპონიმი ად-იშ-ი/ჰად-იშ-ი. მეგრული ოდიშ-ი ნანარმოები ჩანს ოდ- ძირიდან, რომელიც, საფიქრებელია, სვან. ად- ძირის კანონზომიერი შესატყვისი იყოს. ამდენად, ამ ტოპონიმის ძირი შესაძლოა, აღდგეს საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე.

საყურადღებოა, რომ ძველ ქართულ წყაროებში არ გვხვდება ეთნონიმი ჭანი, ზანი, ან ლაზი. ჭან- დასტურდება სომხურ წყაროებში, ლაზ- კი – ბერძნულსა და ლათინურში (ეთნონიმი ლაზი პირველად მოიხსენიება პლინიუსის (I ს. ჩვ. ნელთალრიცხვისა) თხზულებაში). როგორც ჩანს, ეთნონიმი მეგრული გამოიყენებოდა როგორც მეგრელის, ისე ლაზის აღსანიშნავად (იგივე ითქმის სომხურ და ბერძნულ წყაროებში დადასტურებული ტერმინების შესახებ). ამას მოწმობს ის გარემოება, რომ სამეგრელო აღნიშნავს ვრცელ ტერიტორიას, რომლის ფარგლებში შედის ქალაქი ტრაპეზუნდი (მასალა იხ. ზემოთ). ეს ცნობები გვხვდება ბერძნულიდან თარგმნილ თხზულებებში და გარკვეულად ეხმარება ძველი ბერძენი ისტორიკოსების (ქსენეფონტე, სტრაბონი ...) გადმოცემას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კოლხიდის სამხრეთი საზღვარი ტრაპეზუნდამდე აღწევდა.

*მეგრეულ- ეთნონიმი აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის. მისი კანონზომიერი ზანური შესატყვისია მ-არგ-ალი. ცხადია, მეგრეულ ეთნონიმს საფუძვლად უდევს ეგრ-

გეოგრაფიული სახელი. ამ სახელის კანონზომიერი შესატყვისი არგ- (<*აგრ-) შემონახულია მ-არგაალ-ტონონიმში.

ამ ფუძისაგან ინარმოება მეგრულ-სახელი (მოსალოდნელი იყო ეგრულ-ი). მას კანონზომიერად შესატყვისება მეგრული მ-არგაალური (<*მ-არგაალური). ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ფუძე აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება დასავლურქართველური ენობრივი ფორმები (ცალკეული ლექსიკური ერთეულები, აგრეთვე ტოპონიმები). ბორკ-, რომელიც წარმოადგენს ქართული ბარკ ძირის მეგრულაზურ შესატყვისს (თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურისა ქართველურ ენებთან: ენიმის მოამბე, V-VI, 1940, 594), დასტურდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში: შეკრა იგი ბორკილითა, იერემია 39,17 O; დაამდაბლნეს ბორკილითა ფერწნი მისნი, ფსალმ. 106,18; განაშზადენ ფერწნი ბორკილსა მისსა, ისუ ზირაქ 6,25 O; უბრძანა შეკრვა მისი და ბორკილითა შესხმა ფერწთა მისთა, შუშ. 6,20 და მისთ.

ძველ ქართულში არ გვხვდება ბორკაჯს პირიანი ზნა¹ (შდრ.: მეგრული ბორკი „ფები“; ვზორკ უნქ „ფეხებს ეუკრავ“; დოზ-ბორკი „ფეხები შევეუკარი“; ბორკ-უა „ფეხების შეკრა“; ბორკილი „შეკრული“; ოზორკალი „ბორკილი“ და სხვ. (იხ. ი. კილიძე, „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем“, 1914, 206).

ქართული ფრცხ- ძირეულ ალომორუს კანონზომიერად შესატყვისება მეგრული ბირცხ- (<*ბრცხ-). *რს-ს ვოკალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ურ მიმდევრობა, რომელიც შემდგომ უ-ი პროცესის შედეგად ირ კომპლექსად გარდაიქმნა და ლაზ. ბუცხ- (<*ბურცხ-<*ბრცხ-). საერთოქართველური მარცვლოვანი *რ სონანტის რეფლექსების შესახებ მეგრულსა და სვანურში იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბალაუტი ქართველურ ენებში, 1965, 96). აღსანიშნავია, რომ მეგრულში წარმოდგენილია ბუცხ- ვარიანტიც: აკა-ბუცხ-ა „ძალიან მცირე“ (ეტიმოლოგიურად: „ფრჩხილსოდნა“, იხ. ჩიქობავა 1938, 62); შდრ.: ძველი ქართული ფრჩხილსოდნობა „სიმცირე; მცირეწლოვანება“: სიჩხოთვან და ფრჩხილსოდნობითვან მართლმადიდებელნი ვართ, Jer.-151 161r,1-2.

მეგრ. ბუცხ-<ბურცხ- რ-ს დაკარგვით, ისე როგორც ლაზ. ბუცხ-.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება ფუცხუ „ჩანგალი“. როგორც სულხან-საბა მიუთითებს: „ესე არს კავეიდე რკინა, ქვაბით ჳორცთა ამოსალებელი“: ამან ქმნა ყოველივე იგი სასანოვანე ჳურჭერი საკურთხეველისა, ხარისხი მისი, და საცეცხური მისი და ფილიმი მისი, და ფუცხუები მისი რეალისა, გამოსლვათა 38,23 O; მაშინ მოვიდა ყრმა ერთი მღვდელისა აღმოღებად ჳორცისა მის და ჳელთა აქუნდა ფუცხუ სამპირი, და შთაყვის იგი სიავსა, გინა ქოთანსა, გინა ქუაბსა და პირველად რაიცა მოვებთვის ფუცხუსა მას, იგიცა წარილის მღვდელსა მის, I მფ. 2,13-14 O და სხვ.

ეს სიტყვა „სატანჯველ იარაღს“ აღნიშნავს: ფუცხუთა ხუეტილთა მოკუდავებისა სიზრქე განაგვეთ, პარაკლიტ. 52r,19-20; იხილა ნეტარმან ამან, რამეთუ სამპირითა ფუცხუთა წარჳადა ანგელოზმან სული მისი, დიდი სვნაქს. 239,10-12; დამოჰიდეს და ფუცხუთა რკინისათა ხუეტეს, იქვე 453,18-19; გამოვიძიოთ ფუცხუთათვის რკინისათა, იოანე ოქროზ. ასკეტ. 104,12-13 და სხვ.

ფუცხუ წარმოადგენს ქართული ფრცხ-ილ- ან *ფრცხ-ელ მიმღობის კანონზომიერ ზანურ შესატყვისს, ნასესხებს ძველ ქართულში (ზ. სარჯველაძე, ზანურიდან ნასესხები ერთი სიტყვა ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 51, 2, 505-507). ეს ლექსემა შემოსული ჩანს ქართულ სალიტერატურო ენაში VIII-IX საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც სალიტერატურო ქართული ენა ინტენსიურად ვითარდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ძველქართულ წყაროებში გამოვლენილ ტოპონიმთაგან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს არტანუჯი: იხილა კლდე შუაქლარჯეთსა, რომელსა ერქუა არტანუჯი, ქართლ. ცხოვრ. I 177,19; სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა, იქვე 302,3.

¹ ამგვარი ფორმები თავს იჩენს გურულში, იმერულში და წარმოადგენს ზანიზმს.

ა. შანიძის მოსაზრებით, არტანუჯე ფუძე ზანურის ნიადაგზე უნდა აიხსნას: არტანუჯე-არტან-იშყუჯე (ა. შანიძე, *ჯ. ბაგრატიონის წყაროები ქართველურ ენებში*: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXV, 5, 1960, 225-226).

XI საუკუნიდან გვხვდება ჭყონ-დიდი: არს მამულსა მისსა (=ბაგრატიონსა) ნარჩინებული სამღვდელთმოდლოროსა საყდართა შორის სამეუფოსა მისისათა საყდარი ჭყონდიდისა, სადაიგი მრავალთა წმინდათა მარტულნი დაუსუენებინა, გიორგი მთაწმ. ცხოვრ. 139,2-4; იოვანეს ვიტყვ ჭყონდიდელსა, ძმასა ნეტარისა პეტრე პატრიკისასა, იქვე 103,12-13; ჩუენ ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განგვტვენა, იქვე 161,1-2; ნეტარმან პეტრე და ძმამან მისმან იოვანე ჭყონდიდელმან ევროთა განანესეს, იქვე 201,10 და სხვ.

აღსანიშნავია, რომ უკვე ძველ ქართულშივე გვხვდება ამ ტოპონიმის ზუსტი ახსნა: ესე განაჩინა მძღაღრმან წმინდათა მათთვის და თვთ აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქუჯისასა, ქუეყანასა მეგრელთასა, რომელ არს *მეგრულითა ერთა* მუხა დიდი, და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყალითგან ვიდრე აფხაზეთამდე, აგ. ძველ. III 258,6-9.

აქ პირველად არის მოხსენიებული მეგრული ენა.

ზემოთ მოყვანილ ციტატაში საყურადღებოა კიდევ ერთი ტოპონიმი – ჯიხანქუჯი, რომელიც ქართული ციხე-ქოძიხე ფუძის კანონზომიერ ჯიხა შესატყვისის ნარმოადგენს. ჯიხანქუჯი ეტიმოლოგიურად „ქუჯის ციხე“ ნიშნავს. ჯიხა პირველ კომპონენტად შედის აგრეთვე ბერძნულ წყაროებში (თოდოდოსოსი განგრიგელ, VII ს.) დადასტურებულ ტოპონიმში Ζιχάδωρος.

დასავლელ საქართველოს ერთ-ერთი მხარის სახელწოდება მუხურიში დასტურდება პროკოპი კესარიელის (VI ს.) თხზულებაში (μοιχρησι). ძველი ბერძნული და ძველი ქართული წყაროები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ-ზანური ერთიანობა უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. თ. გამყრელიძის მოსაზრება ქართული ტყავ ძირის შესატყვისად არგონავტების თქმულებაში დადასტურებული კვად-ფორმის მიწნევის შესახებ (Гамквелидзе Т. В., Иванов В. В. Индоевропейский язык и индоевропейцы, II,Тбилиси, 1984, 908-909) ამ პროცესს ჩვენს ნელთალრიცხვამდე II ათასწლეულში მომხდარად გვაფიქრებინებს.

XIX საუკუნიდან იწყება ქართველური ენების (მათ შორის მეგრულისა და ლაზურის) ინტენსიური შესწავლა. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს გ. როზენმა, ფრ. ბოპმა, მ. ბროსემ.

გ. როზენმა 1843 წელს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხა მოხსენება „Über die Sprache der Lazen“, რომელშიაც შეაპირისპირა ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ძირების მთელი ჯგუფი. მაგალითად, მან შეუდარა ერთმანეთს ქართველურ ენათა რიცხვითი სახელები (ქართ. ერთ- : მეგრ. ერთ- : ლაზ. ერთ- ; ქართ. ორ- : მეგრ. ყორ- : ლაზ. ყურ- : სვან. ოორ- ; ქართ. სამ- : მეგრ. სუმ- : ლაზ. სუმ- : სვან. სემ- ; ქართ. ოთხ- : მეგრ. ოთხ- : ლაზ. ოთხ- : სვან. ფოშთხ- ; ქართ. ხუთ- : მეგრ. ხუთ- : ლაზ. ხუთ- : სვან. ჟოხჟიშდ- ; ქართ. ექვს- : მეგრ. ამშვ- : ლაზ. ამშვ- : სვან. უსგჟა- ; ქართ. შვიდი- : მეგრ. შქვით- : ლაზ. შქვით- : სვან. იმგჟიშდ- ; ქართ. რვა- : მეგრ. რყო- : ლაზ. რყო- : სვან. არა- ; ქართ. ცხრა- : მეგრ. ჩხორო- : ლაზ. ჩხორო- : სვან. ჩხარა- ; ქართ. ათ- : მეგრ. ვით- : ლაზ. ვით- : სვან. აეშდ- ; ქართ. ოც- : მეგრ. ეჩ- : ლაზ. ეჩ- ; ქართ. ას- : მეგრ. ოშ- : ლაზ. ოშ- : სვან. შაორ (G. Rosen 1845, 110); აგრეთვე ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: ქართ. თმა : მეგრ. თომა : ლაზ. თომა ; ქართ. პირ : მეგრ. პიჯ- : ლაზ. პიჯ- ; ქართ. თულა : მეგრ. თოლ- : ლაზ. თოლ- ; ქართ. ცხვირ- : მეგრ. ჩხვინდ- : ლაზ. ჩხვინდ- ; ქართ. ყურ- : მეგრ. ყუჯ- : ლაზ. ყუჯ- ; ქართ. ლაშ- : ლაზ. ლეშქ- ; ქართ. ენა : მეგრ. ნინა : ლაზ. ნინა ; ქართ. თით- : მეგრ. კით- : ლაზ. კით- ; ქართ. გულ- : ლაზ. გურ- ; ქართ. ოფლ- : მეგრ. ოფუ- : ლაზ. უფ- ; ქართ. სულ- : ლაზ. შურ- (იქვე 1845, 30-31); ქართ. დედა : მეგრ. დიდა : ლაზ. დიდი „ბებია“ ; ქართ. ძმა : მეგრ. ჯიმა : ლაზ. ჯუმმა ; ქართ. და : მეგრ. და : ლაზ. და : სვან. და-ჩირ (Rosen 1845, 31-32); ქართ. თუე : მეგრ. თუთა : ლაზ. თუთა ; ქართ. დღე : მეგრ. დღა : ლაზ. დღა ; ქართ. ცა : მეგრ. ცა : ლაზ. ცა : სვან. ცა ; ქართ. მზე : მეგრ. ბჟა : ლაზ. ბჟა (იქვე 1845, 33-34); ქართ. თოვლ- : მეგრ. თორ- : ლაზ. თორ- ; ქართ. ტბა : ლაზ. ტობა ; ქართ. ზღვა : ლაზ. ზღვა (იქვე 34); ქართ. დმართ- : მეგრ. ლორონთ- : ლაზ. ლორონთ- : სვან. ლერბეთ- (იქვე 33); ქართ. თაგუ- : ლაზ. თუჯ- ; ქართ. წარ- : მეგრ. ხოჯ- : ლაზ. ხოჯ- ; ქართ. ფურ- : ლაზ. ფუჯ- ; ქართ. დათუ- : ლაზ. თუთ- ;

ქართ. მამალ : მეგრ. მუშულ : ლაზ. მუშულ (იქვე 29); ქართ. ნითელ : მეგრ. ჭითა : ლაზ. ჭითა (იქვე 37) და სხვ.

გ. როზენმა ფაქტობრივად ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა ლექსიკის შედარებითი მეთოდით შესწავლას. მის მიერ გამოვლენილი მასალა გამოიყენა ფრ. ბოპმა (Fr. Bopp, Über das Georgische in sprachverwandtschaftlicher Beziehung (Abhandlungen der Königl. Preuss. Akademie der Wissenschaften, Philosoph.-histor. Klasse), Berlin), რომელმაც, თავის მხრივ, შეაპირისპირა ქართველურ ენათა მთელი რიგი მორფოლოგიური მანარმობელები (ქართ. -დ (საგრცობი) : ლაზ. -დ; ქართ. -ენ (მრავლობითობის სუფიქსი ზმანში) : ლაზ. -ან; ქართ. -ს (მესამე სუბ. პირის ნიშანი) : ლაზ. -ს და სხვ.); ნაცვალსახელოვანი ძირები (ქართ. გ- : სვან. ჯ-; ქართ. ვი- : ლაზ. მი-; ქართ. შა- : ლაზ. მუ-).

1847 წელს დაიბეჭდა გ. როზენის ნაშრომი «Über das Mingrelische und Abchasische», რომელშიც გამოვლენილია მთელი რიგი ადრინდელი შეპირისპირებებისა, აგრეთვე გვხვდება ახალი დაკავშირებანი (მაგ., ქართ. -ებ (მრავლობითი რიცხვითის ნიშანი) : მეგრ. -(ქ)ე : ლაზ. -ფ (გვ. 408); ქართ. ძაღლ : მეგრ. ჯოლორ- : სვან. ყედ; ქართ. შვილ : მეგრ. სქუა- და სხვ.); შეპირისპირებულია ქართული, მეგრული და ლაზური პირის ნაცვალსახელები (გვ. 411).

მარი ბროსე იყო პირველი მეცლევარი, ვინც შენიშნა ქართველურ ენებს შორის არსებული ფონემათშესატყვისობანი (M. Brosset, Rapports sur une voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Rappott VII, St.-Petersbourg, 1849, 72-78; ამის შესახებ იხ. H. Fähnrich, M. F. Brossets Beitrag zur historisch-vergleichenden Erforschung der Kartwelsprachen: Sprachen Europas und Asiens, Wiss. Beiträge der Friedrich-Schiller-Universität Jena, 1985). ამიტომ სწორედ იგი უნდა მივიჩნიოთ ქართველური ენათმეცნიერების მესაფუძველედ. მ. ბროსეს ეკუთვნის რამდენიმე ათეული ქართველური ძირის შეპირისპირება. განსაკუთრებით უნდა გავსვას ხაზი იმას, რომ მან გამოავლინა ზმნურ ძირთა შესატყვისები (ქართ. სუ- : მეგრ. შუ- (Brosset 1849, 78); ქართ. ყუარ- : მეგრ. ყორ- (იქვე 75); ქართ. ძახ- : მეგრ. ჯოხ- (იქვე 76); ქართ. ჭამ-/ჭმ- : მეგრ. ჭკომ- (იქვე 73; 78) და სხვ.

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანა ალექსანდრე ცაგარელმა. 1872 წელს დაიბეჭდა მისი შრომა: «Сравнительный обзор морфологии и синтаксической группы кавказских языков». ა. ცაგარელმა მასში პირველად წარმოადგინა ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის ძირითად კატეგორიათა შედარებითი ანალიზი, მოგვცა რიგ მორფოლოგიურ ფორმანტათა შეპირისპირება. 1880 წელს ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა «Мингрельские этюды». ამ ნაშრომის მეორე ნაკვეთში მიმოიხილულია მეგრულის ფონეტიკური სისტემა, მისი ძირითადი თავისებურებანი და მოცემულია ბგერათშესატყვისობანი მეგრულსა და ქართულს შორის (გვ. 1-92). ა. ცაგარელმა შეავსო და დააზუსტა ის ფორმულები, რომლებიც თავის დროზე მ. ბროსემ წარმოადგინა. რა თქმა უნდა, ა. ცაგარლის ტაბულებში არაერთი უზუსტობაც გვხვდება, მაგრამ არსებითი ის არის, რომ მას უკვე გათვალისწინებული ჰქონდა მეგრულსა და ქართულს შორის არსებულ კანონზომიერ შესატყვისობათა უდიდესი ნაწილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა. ცაგარელმა თავის ნაშრომში პირველად შეაპირისპირა ქართულსა და მეგრულის რამდენიმე ათეული ძირი (ქართ. ზაგ- : მეგრ. ზოგ- (გვ. 41); ქართ. დგ- : მეგრ. დგ- (იქვე 11); ქართ. ვაც- : მეგრ. ოჩ- (იქვე 20); ქართ. ვს- : მეგრ. ფშ-/შ- (იქვე 5); ქართ. ვლტ- : მეგრ. რტ-/ნტ- (იქვე 51) და სხვ.

ნაშრომის პირველ ნაწილში გამოქვეყნებულია მეგრული მეტყველების ნიმუშები. სამწუხაროდ, მაშინდელი საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა ა. ცაგარლის სამეცნიერო მოღვაწეობის ადექვატურად აღქმისა და მისი სათანადოდ შეფასებისათვის.

ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის პეტრე ჭარაიას. მან 1895-1896 წლებში ჟურნალში «მოამბე» გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი «მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა)». პ. ჭარაია ცდილობს დაზუსტოს ქართულსა და მეგრულის ბგერათშესატყვისობანი. საყურადღებოა მის მიერ პირველად წამოყენებული შეპირისპირებანი, რომელთა საკმაო ნაწილი ეჭვს არ იწვევს (ქართ. ზან- : მეგრ. ბონ- : ლაზ. ბონ-; ქართ. დრეკ-/დრიკ- : მეგრ. დირაკ-/დირიკ-; ქართ. ვერძ- : მეგრ. ერჯ- და სხვ.).

1912 წელს დაიბეჭდა პ. ჭარაიას საინტერესო ნაშრომი «Об отношении абхазского языка к яфетическим». ავტორი ეტება ქართველურ ენათა და აფხაზურის ურთიერთმიმართებას. მასში მოცემულია არაერთი საინტერესო დაკავშირება (ქართ. გრწყილ-/რწყილ- : მეგრ. წყურ-/წყირ-; ქართ. გუს-/ქუს-/ქს- : მეგრ. რჷ- : სვან. ვიჷშ- და სხვ.).

პ. ჭარაიას ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს «ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტურ ენების მეკლევარათათვის)», რომელიც 1918 წელს ავტორმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა (ამ ნაშრომის მიორე ნაწილის (მეგრულ-ქართული ლექსიკონის გამოქვეყნება შობილად 1997 წელს მოხებდა. წინგი გამოსაცემად მოამზადა დარეჯვან თვალთაძემ).

პ. ჭარაიამ თავის ნაშრომში მრავალი მონათესავე ძირი (ფუძე) გამოაიღინა (ქართ. ბრ- : მეგრ. ბურ-; ქართ. ბრაგ- : მეგრ. ბურგ-; ქართ. კორტ-/კრტ- : მეგრ. კირტ-; ქართ. მყენ-/მყნ- : მეგრ. ყონ-; ქართ. მჷჩილ- : მეგრ. შქვილ-/შქვინ-; ქართ. რჯუ- : მეგრ. რძგუ-/რძგუ- და სხვ.).

ქართველურ ენათა შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანა ნიკო მარამ. მან დააზუსტა ქართველურ ენათა შორის არსებულ კანონზომიერ შესატყვისობათა ფორმულები, გაარკვია ქართული და მისი მონათესავე ენების ისტორიული ფონეტიკის მრავალი საკვანძო საკითხი. მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში პირველადან წარმოდგენილი ასზე მეტი უაღრესად საინტერესო შეპირისპირება. აქ დეტალურად რამდენიმე: ქართ. ანწლ- : მეგრ. ინჭირ- : ლაზ. ინჭირ- : სვან. გწწჭუ- (Н. Марр, Тубал-кайнский вклад в сванском : ИАН, Санкт-Петербург 1912, 1095-1096); ქართ. ზა- : მეგრ. ზო- : სვან. ზა- (Из лингвистической поездки в Абхазию (к этнологическим вопросам) : ИАН, Санкт-Петербург, 1913, 316-317); ქართ. სისხლ- : ლაზ. დიხირ- (Н. Марр, Яфетическое происхождение абхазских терминов родства : ИАН, Санкт-Петербург, 1912, 426); ქართ. თოვ- : ლაზ. შთუ- : სვან. შდუჭუ- (Н. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических : ИАН, Санкт-Петербург, 1912, 28); ქართ. თხილ- : სვან. შღიხ- (Н. Марр, Где сохранилось сванское склонение? : ИАН, Санкт-Петербург, 1911, 1201); ქართ. რაცხ- : ლაზ. როცხ-/რეცხ- (Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, Санкт-Петербург, 1908, 8); ქართ. სელ- : მეგრ. სუ-; ქართ. შუელ- : ლაზ. მსქევრ- (Н. Марр, Яфетические элементы в языках Армении : ИАН I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, Санкт-Петербург, 1911-1914, VI 421); ქართ. ძეძუ- : ლაზ. დაძ-/დანძ- (Н. Марр, Яфетические названия деревьев и растений (Pluralia tantum) : I-III, ИАН, Санкт-Петербург, 1915, 834); ქართ. ძელუ-/ძლუ- : მეგრ. ჯლ-/ჯჯლუ- : ლაზ. ნჯლ (Н. Марр, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания (предварительное сообщение) : ЗВРАО, т. XXII, вып. I-II, Санкт-Петербург, 1914, 60-61); ქართ. ნად- : სვან. ჰად-/ჰდ- (იქვე, 37).

1914 წელს დაიბეჭდა იოსებ ყიფშიძის «Грамматика мингрельского (иверского) языка». ეს არის მეგრულის პირველი მეცნიერული გრამატიკა. აქვე წარმოდგენილი არის ტექსტები და უაღრესად საინტერესო მოკლე ლექსიკონი. ნაშრომში პირველადან მოცემული რამდენიმე ათეული შეპირისპირება (უპირატესად ქართული და მეგრული ფორმებისა). მაგალითად: ქართ. ადრე : მეგრ. ორდო (გვ. 294); ქართ. გუალ- : მეგრ. გოლ- (გვ. 218); მეგრ. ზურ- : ლაზ. ზურ- : სვან. ზურ- (გვ. 238); ქართ. მასე : მეგრ. მოსა (გვ. 199); ქართ. შრ- : მეგრ. სქირ-/სქერ- (გვ. 323); ქართ. შუ- : მეგრ. სქე- (გვ. 322); ქართ. ჩინ- : მეგრ. ჩქინ-/ჩქინ- (გვ. 311); ქართ. ცალ-/ცლ- : მეგრ. ჩოლ- (გვ. 366) და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ სფეროს ქართული და ქართველური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობრივი ურთიერთობის კვლევა შეადგენდა. მის ნაშრომებში მრავალი საყურადღებო შეპირისპირება გვხვდება: ქართ. ნუელ- : მეგრ. ჭვალ- : ლაზ. ჭვალ-/წჭვალ- (ჯავახიშვილი 1913, 6); ქართ. მასხ- : მეგრ. მოსხ- (ჯავახიშვილი 1918, 15); ქართ. წწხე-/წწხი- : მეგრ. ჭწინხ- (ჯავახიშვილი 1913, 6) და სხვ.

ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა გერპარდ დეეტერსმა. მან წამოაყენა ქართველურ ენათა ფუძე-ენის დაშლის ყველაზე

საალბათო ჰიპოთეზა. დედასახელები გ. დეეტერსისეულ რამდენიმე დაკვირვება: ქართ. ბერწყ-/ბრწყ- : მეგრ. რწყ- (G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch: Caucasia, Fasc. III, Leipzig, 1926, 82); ქართ. ბრძ- : მეგრ. ბურჯ- (იქვე, 51); ქართ. თუალ- : სვან. შდულ- (იხ. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, 113); ქართ. სო- : სვან. ლეთ-/ლით- (G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930, 220); ქართ. ძახ- : სვან. ჟახ-/ჯხ- (იქვე 1930, 96) და სხვ.

აკაკი შანიძემ, ქართველურ ენათა უდიდესი მკვლევარმა. ერთმანეთს პირველად შეუდარა რიგი ქართველური ფორმებისა (ქართ. დაბ- : სვან. დაბ- (იხ. ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი, 1927, 309); ქართ. -ელ (წარმოშობის სუფიქსი) : მეგრ. -არ : ლაზ. -არ (A. Шанидзе, Два чано-мингрельских суффикса: ЗВРАПО, т. XXIII, вып. III-IV, Санкт-Петербург, 1915, 366-368); ქართ. ძელუ/ძელუ- : სვან. ყლუ/ყოლუ- (A. Шанидзе, Данные греческо-пхлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოსის მოძღვარი в древнегрузинском : საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, 1-2, თბილისი, 1941, 183) და სხვ.

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლაში არნ. ჩიქობავას დამსახურება მეტად დიდია. ამ საკითხს ეხება მისი მრავალი შრომა. არნ. ჩიქობავას ეკუთვნის რამდენიმე ასეული შეპირისპირება. ფრიად მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართულ და მეგრულ ფორმათა ლაზური ექვივალენტების გამოვლენის საქმეში (ქართ. ბერ- : ლაზ. ბარ- : ქართ. ფრენ-/ფრინ- : მეგრ. ბურინ-/ბირინ- : ლაზ. ბრუნ-/ბრინ- («ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი», ტფილისი, 1938, 255); ქართ. გრწყილ-/რწყილ- : ლაზ. მწყირ- (იქვე, 116); ქართ. ვარცხ- : მეგრ. ორცხ- : ლაზ. ონცხ- (იქვე, 180); ქართ. თელ- : ლაზ. თილ- (ჩიქობავა იქვე, 87); ქართ. ლბ- : ლაზ. ლობ-/ლიბ- (იქვე, 1938, 302-303); ქართ. რაცხ- : მეგრ. როცხ- (ჩიქობავა 1938, 297); ქართ. ფურჩ- : მეგრ. ფურცქ (იქვე, 1938, 331) და სხვ.

ქართველურ ენათა კვლევის საქმეში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის ვარლამ თოფურიას. იგი იკვლევდა ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ვ. თოფურია ფართოდ იყენებდა სვანურის მონაცემებს. მის მრავალრიცხოვან შეპირისპირებათაგან აქ რამდენიმეს დედასახელები: ქართ. გალ-/გლ- : სვან. გალ-/გლ- (ვ. თოფურია, მესამე ტომის ენებთის წარმოება ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, 9, თბილისი, 1942, 97); ქართ. ეს- : სვან. გუშე-/გუშე- (ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V გ სონანტის გადასვლა წვ. გვ. ქედ- ენიჭის მოამბე, X, თბილისი, 1941, 233); ქართ. თაგუ- : ლაზ. მთუგ- : სვან. შდუგუშ- (ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: I ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: მიმოშობილელი, I, ტფილისი, 1926, 201); ქართ. თაფ- მეგრ. თი- : ლაზ. თი- : სვან. შდა- (იქვე, 1926, 201); ქართ. სარ-/სარ- : მეგრ. სინდ- : ლაზ. სიჯ- (ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვიანარმოებიდან, IV ხმოვანთაგარეთოვანი სახელები: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXXIX, თბილისი, 456); მეგრ. ფაშქ-/ფეშქ- : სვან. ფიშგ-/ფშგ- (თოფურია 1926, 203) და სხვ.

ქართველური ენების (მათ შორის მეგრულის) შესწავლის საქმეში დიდი წვლილი აქვთ შტანდილი გ. ახვლედიანს, პ. ფოტისს, თ. გამყრელიძეს, გ. მაჭავარიანს, ტ. გუდავას, გ. კლიმოვს, გ. როგავას, კ. პ. შმიდტს, ქ. ლომთათიძეს, მ. ქალდანს, ს. ყლენტს, ბ. გიგინეიშვილს, ალ. ონიანს, პ. ფენრიხს, გ. კარტოზიას და სხვებს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნდა მეგრული ზეპირსიტყვიერების არაერთი ნიმუში. ა. შანიძის, მ. ხუბუას, ტ. გუდავას, კ. დანელიას, ა. ცანავას, კ. სამუშიას გამოცემული მეგრული ტექსტები მკვიდრ საფუძველს ქმნის საქართველოს ეთნოგრაფიის, მითოლოგიის, ხალხური ზეპირსიტყვიერების შესასწავლად.

1997 წელს დაიბეჭდა გივი ელიავას შედგენილი „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“.

ქართველური ენების შესწავლისათვის ამაყმად საკმაოდ ბევრია გაკეთებული. გასაკეთებელი კი უფრო მეტია. გამოსაცემია მრავალი ძველი ქართული ტექსტი. შესადგენია ძველი ქართული ენის სრული ლექსიკონი, ისტორიული, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონები, ქართული ენის

დალექტების ლექსიკონები. გამოსაცემია ცალკეული ქართველური ენების და მათი დალექტების ტექსტები და ლექსიკონები. რასაკვირველია, ეს არის თაობების სამუშაო, რასაც მნიშვნელოვნად აფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიდუხჭირე. ამგვარი სამუშაოს შესრულება ქართველოლოგიის შემდგომი პროგრესისათვის აუცილებელია.

სასიხარულოა, რომ საერთო ვითარების სიძნელის მიუხედავად, ცალკეული კოლექტივებისა და მკვლევრების თავდადების ფასად მანაც ხერხდება ზოგი მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოცემა. 1997 წელს დაიბეჭდა პ. ჭარაიას და გ. ელიაშვილის ლექსიკონები. 2000 წელს შეესაბოთნა ქართველოლოგთა მრავალი თაობის ოცნებას – დისკტამბა ვარლამ თოფურიასა და მაქსიმე ქალდანის სვანური ენის ლექსიკონი. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, რომლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. ამჟამად დასაბეჭდად მზადდება და უახლოეს ხანს დაიბეჭდება კარაქოვ დონდუას მიერ შედგენილი სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი.

ქართველური ენების ისტორიის მკვლევრები დიდი ხანია მწვავედ გრძნობდნენ მეგრულის ვრცელი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობას. აკაკი შანიძემ ნახევარი საუკუნის წინათ ეს საქმე ოთარ ქაჯაიას დააკისრა. იგი უდიდესი გულისყურით, მონდომებითა და სიყვარულით მოეკიდა საქმეს. ათეული წლების მანძილზე აგროვებდა მასალებს სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში, იყენებდა სხვა სპეციალისტების ნაშრომებს, პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ ტექსტებს.

ხუთი ათეული წლის დაძაბული, თავდადებული შრომის შედეგად შეგროვდა დიდძალი, უნიკალური, უაღრესად საინტერესო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სანდო მასალა. ვფიქრობთ, ოთარ ქაჯაიას ნაშრომი ქართველოლოგიური მეცნიერების საგანძურში საპატიო ადგილს დაიკავებს.

ასეთი მოცულობისა და ასე რთული წიგნის გამოცემა უაღრესად გართულდებოდა (მეტი რომ არ ვთქვათ), რომ ჩვენთვის დახმარების ხელი არ გამოეწვინა ფონდს „ლია საზოგადოება – საქართველო“ (გენერალური დირექტორი – მიხეილ ჩაჩხუაშვილი).

აღსანიშნავია, ის უდიდესი პასუხისმგებლობა და მონდომება, რაც ამ წიგნის გამოცემისათვის გამოიჩინეს გამომცემლობა „ნეკერის“ (დირექტორი – ვია შერვაშიძე) თანამშრომლებმა.

ვფიქრობთ, ჩვენი საზოგადოებრიობა მაძლობას არ დაიშურებს წიგნის ავტორისა და იმათ მიმართ, ვინც ამ საშეილშეილო საქმეს ამაგი დასდეს.

ზურაბ სარჯველაძე



წიგნის ტყვეობა

„მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. მისი შედგენის სურვილი ჯერ კიდევ ოთხი ათეული წლის წინ გამიჩნდა. ამის თაობაზე ბატონ აკაკი შანიძეს მოვახსენე. მან მიიჩნია: გვების, ამ ეტაპზე ყურადღება გაამახვილოთ იმ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც ი. ყიფშიძის ლექსიკონში ვერ მოხვდნენ. მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ასეთი სიტყვა-გამოთქმები ბევრი იყო. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი ჰქონდა. ი.ყიფშიძემ ლექსიკონში ძირითადად ის სიტყვები შეიტანა, რომლებიც მის ხელთ არსებულ ტექსტებში იყო.

წინამდებარე ლექსიკონის მიზანია, შესაძლებლობის ფარგლებში გამოაეღინოს მეგრული ენის ლექსიკური სიმდიდრე, რაც ადრე შენიშნეს და შენიშნეს არა მარტო ენათმეცნიერებმა. ქართული ენა რომ გაიწმინდოს უცხო ენობრივი შრეებისაგან და მის ნაცულად საკუთარი ლექსიკური განძი იქნეს მოპოვებული და მოხმარებული, აკაკი წერეთელს საჭიროდ მიაჩნდა მეგრული სათავის ყურადღების მიქცევა. ის წერდა: „მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცულად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღიათ, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეჩხირება და გულსა წყინის... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ უურჩევთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“ (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XII I, გვ. 428-429).

პროფ. ალ. ხახანაშვილი 1897 წელს „ივერიის“ 227-ე ნომერში წერდა: „დროა, ჩვენს სამოგალობელში გაერქვოდეს შესწავლა და გაგება მეგრულისა... სასურველია, რაც კი შესაძლება, მოყვანილ იყოს მეგრული ენაზედ ანდაზედ, პატარა-პატარა ლექსები, გამოცენები და... საუბარიც. თვით ქართული სალიტერატურო ენისათვის სასარგებლო იქნება, დავუკვირდეთ ჩვენი გომის ხალხთა კილოებს და შევაესოთ ლექსიკური ნაკლი, ანუ აეაფერადოთ იგი...“

ანგარიშგასაწვეია პროფ. კ. კახანელი (ჭანტურიას) მიერ 1926 წელს გამოთქმული მოსაზრება: „პროფ. ნ.მარამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ გაუგებარ სიტყვებს მეგრული დღესაც ხმარობენ; ეს საგულისხმო ფაქტია, მაგრამ ბევრჯერ უფრო საყურადღებოა მეგრული ენის ეერაბლური სიმდიდრე იმეიათი ფსიქოლოგიური სიღრმით და ისეთი ნიუანსების აღნიშვნით, რომელთა გარკვეულ ცნებაში გადაგანა დიდ მეცნიერსაც გაუჭირდება; ეს ფსიქოლოგიური ფაქტი გულისხმობს შორეული წარსულის დიდ სოციალურ კულტურას – ინდუსტრიის, მეურნეობისა და მატერიალური კულტურის გამზას.“

ქართული პროზინიციდან ქართულ ლიტერატურაში უნდა შემოვიდეს მთელი რიგი თქმთა და სიტყვათა, რომელთაც აქვთ დიდი ფსიქოლოგიური და კულტურულ-ესთეტიკური მნიშვნელობა“ (ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, გვ. 195-196).

ეს ლექსიკონი თავისი მინაარსით ამ პატრიოტული რჩევის აღსრულების ხელის შეწყობასაც ისახავს მიზნად.

ლექსიკონზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობის პროცესში ხელშეწყობას, ყურადღებასა და დანერგვას ეგრძნობდი აწ გარდაცვლილთა – პროფ. ალექსანდრე დლონისა და მეგრული ენის ერთ-ერთი ღრმად მცოდნისა და მოჭირახულის შამანგი კვირიტიას მხრიდან. სალექსიკონო მასალის შეგროვების პერიოდში დიდი დახმარება გამიწია ბანძის სასოფლო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ (ამჟამად პენსიონერმა) ნელი წოწორიამ. ლექსიკონის ტექსტი წაიკითხეს და არაერთი ყურადღაღები რჩევა მომწოდეს პროფესორებმა იზაბელა ქობალავამ და ალექსანდრე ონიანამ. სამეგრელოს რეგიონების მიხედვით ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის სემანტიკის დაზუსტებაში დამეხმარნენ პროფესორები: ოთარ ჭურდულია, მამია ყოლბაია, კლიმენტ შელია, ვალიკო ცაავა და ვლადიმერ სერგია; დოცენტები: ჯულიეტა ჯანჯღავა და პაატა ცხადაია.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია წიგნის რედაქტორის პროფესორ მ უ რ ა ბ ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ი ს აზაგი ამ ლექსიკონის დაბეჭდვის საქმეში.

ლექსიკონის გამოცემა ახლო მომავალში, შეიძლება დაბეჭდვითი ითქვას, შეუძლებელი იქნებოდა, რომ დახმარების ხელი არ გამოეწოდებინა ფონდს „ღია სამოგადოება – საქართველო“ და განსაკუთრებით კი მის გენერალურ დირექტორს მიხეილ ჩაჩხუნაშვილს.

გეჟნიკურად ეს უაღრესად ძნელი გეჟსტი დიდი პასუხისმგებლობითა და გულისყურით ააწყვეს გამომცემლობა „ნეკერი“-ს თანამშრომლებმა: ნანა ქეჯაჩახიამ, ნანა ჩაველიშვილმა, ნანი კალანდაძემ და მაყვალა დარსანიამ. წიგნს საბოლოო სახე მისცა გამომცემლობის დირექტორმა გია შერვაშიძემ.

დავალებულად ვთვლი თავს ყველა მემოთ დასახელებულის წინაშე და, მაქვს რა ბედნიერი შემთხვევა, დიდი მადლიერების გრძნობით გულწრფელ მადლობას მოვახსენებ თითოეულ მათგანს.

მეცნიერული, ლექსიკოლოგიური და გეჟნიკური თვალსაზრისით ეს ურთულესი წიგნი, ცხადია, ხარვეზებისაგან დამღვეული არ იქნება. ავტორი სიამოვნებითა და მადლიერებით მიიღებს მკითხველის ყველა სამართლიან შენიშვნას თუ სურვილს, რაც ლექსიკონის სრულყოფას შეუწყობს ხელს. ბოლოს, თუ კანდიერებად არ ჩამეთვლება, დიდ საბაბს დავესესხები: ... „სწავლული მრავალთა აქა წერილთა სიგყუათა იუცხოებენ და შორად განიშორებენ, თუცა ცოცხალსა მკითხვენ, განმარტება, ღ-თით, ძალმისც და სიკედელს უკან მათ იციან.“

ოთარ ქეჯაია

შენახვა

„მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ არის თარგმნითი: მეგრული სიტყვა თარგმნილია ქართულად, მოცემულია სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები; გარკვეული თვალთახედვით ის დიალექტოლოგურია, რადგან მასში წარმოდგენილია მეგრული ორივე დიალექტის (სენაკურისა და ზუგდიდურ-სამურზაყანოლის) მასალა; რამდენაღმე ერთოგრაფიულია, რადგან ტერმინთა გარკვეული რაოდენობა გამოხატავს ძველსა და ახალ ყოფას; აღწერილია შრომის პროცესი, რელიგიური წეს-ჩვეულებები და ა.შ.; ტერმინოლოგურია, რამდენადაც შეტანილია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ტერმინები (მესამინდობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, შესაქონლეობა, ნადირობა, მეჭურჭლეობა, ფიქრობა, მკვლელობა, კვება და ა.შ.). ასევე საბავშვო თამაშებთან, სხვადასხვა სახის ავადმყოფობასთან, ზოგიერთ სიმღერასა და ცეკვასთან დაკავშირებული სიტყვები და გამოთქმები. ლექსიკონი დოკუმენტირებულია: ასახსნელი (სათარგმნი) სიტყვა წარმოდგენილია გამოთქმაში (წინადადებაში) და იქვე მითითებულია წყარო. დოკუმენტაცია გვაწვდის მეგრულ ბუნებრივ გამოთქმებს და სიტყვათა სემანტიკაში ღრმად წედომის საშუალებას იძლევა. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოლისემიურ სიტყვებთან იძენს. ლექსიკონს თითქოს ნორმატიული ხასიათიც აქვს; საჭიროების შემთხვევაში სიტყვას (მის დაწერილობას, აკრულებას, წარმომავლობას) შეფასება ეძლევა.

ქართველური ენების ჯგუფში შედის: ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური (ჭანური). ამათგან მეგრული და ლაზური მიჩნეულია ერთი ენის – ზანურის კოლოებად (არნ. ჩიჭობაეა). ა. შანიძემ მათ კოლხური უწოდა. ადრე მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ ენებად მიაჩნდათ (ა.ყაგარელი, ნ.მარი, ი.ყიფშიძე).

წინამდებარე ლექსიკონში ისევე, როგორც ამ ბოლო პერიოდში სხვა ქართველ ენათმეცნიერთა მიერ გამოქვეყნებულ შრომებშია მითითებული, მეგრული ერთ-ერთ დამოუკიდებელ უმწერლობო ქართველურ ენადაა ჩათვლილი.

მეგრული გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში; ეკრძოდ, კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და მისი ჩრდილოეთით მთიან ტერიტორიაზე. ამ ენაზე მეტყველებენ: აბაშის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებში; ნაწილობრივ ქალაქ ფოთსა და ოჩაშორის რაიონში (ასევე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის სხვა რაიონებშიაც). გამოიყოფა ზუგდიდურ-სამურზაყანოული, ანუ ჩრდილო-დასავლური, და სენაკური, ანუ სამხრეთულ-აღმოსავლური, დიალექტები.

ლექსიკონით სარგებლობის შესახებ

ლექსიკონით სარგებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

1. **ა-**ით დაწყებული სიტყვები ლექსიკონში შეტანილია. ეს ის შემთხვევებია, როცა ლ^ს ენაცვლება **ა**. რადგანაც ეს შენაცვლება ხდება სენაკური კილოს მხოლოდ ბანბურ-მარგვილურ თქმაში, ამიტომ ამ მონაცვლეობას (ლ^ა:**ა**) სიტყვის ფუძეებში არ ვუჩვენებთ. მიზეზი მარგია: ყველა ასეთი სიტყვა (და მათი რაოდენობა კი ბალიან დიდია) პარალელური ფორმით უნდა შეგვეტანა, რასაც შეგნებულად მოვერიდეთ. მკითხველმა ყველა ლ ბგერიან სიტყვაში **ა** (ან **ო**) უნდა იფარაულოს.

გ ხმოვანს ანბანის რიგში ადგილი უკავია იმ თანმიმდევრობით, რომელი ხმოვნის (ი^ს თუ უ// **ო**-ს) ბგერინაცვალსაც ის წარმოადგენს.

ც თანხმოვანი, როგორც **ყ**-ს რეფლექსი, ანბანის რიგში ამ უკანასკნელის შემდეგაა შეტანილი.

2. „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ შევიდა ყველა ფორმაცვლებადი და ფორმაუცვლელი სიტყვა, რომლებიც მოვიპოვეთ და დღეისათვის დასტურდება მეგრულში. მათ შორისაა ქართულთან საერთო სიტყვებიც (მაგ., დრო, კისერი, ცხენი...). ამგვარ სიტყვათაგან ზოგი ძველისძველია, საერთო კუთვნილებაა, ზოგიც ერთ-ერთი ენიდანაა შესული სხვებში, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ამგვარ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ლაზურის, მეგრულისა და ქართულის ისტორიული ურთიერთობის გასათვალისწინებლად. ასეთი მასალის უყურადღებოდ დატოვება არ იქნებოდა მიზანშეწონილი (არნ.ჩიქობავა). ლექსიკონში ასევე შევიდა უცხოური (რუსული, ბერძნული, სპარსული, თურქული, არაბული...) წარმოშობის სიტყვები.

ლექსიკონში არ შევიდა:

ა. ადამიანთა სახელები და გვარები (მოგიერთი გამონაკლისის გარდა);

ბ. გეოგრაფიული სახელები (თუმცა ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, როცა ამა თუ იმ სიტყვის თარგმნისათვის მეტი სინათლეა საჭირო, მოხმობილია გოპონიმი);

გ. სათაიკლო (უწმაწური) სიტყვები და გამოთქმები.

ლექსიკონში ცალკე ლექსიკურ ერთეულებადაა შეტანილი სახელები (არსებითი, მელსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), სახელმწიფო (საწყისი, მიმღობა), მზნიმღები, კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები, შორისდებულები; აგრეთვე, თავსართ-ბოლოსართები (წარმოქმნის აფიქსები).

ცალკე ლექსიკურ ერთეულებს ქმნიან ომონიმები. მაგ., ანჯ არი: ანჯარ-ი¹ აბჯარი; ანჯარ-ი² მოსვლიანი ადგილი. მათ სათანადო ციფრი უმით.

ლექსიკონში ცალკე ერთეულად, მოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ შედის ერთი ცნების გამომხატველი ორი ან მეტი სიტყვა.

3. ნაცვალსახელები, მზნიმღები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები, შორისდებულები, თავსართ-ბოლოსართები (წარმოქმნის აფიქსები) შეტანილია სათანადო გრამატიკული კვალიფიკაციით, ხოლო სახელებს, მზნასა და საწყისს არ უწერია, რა მეტყველების ნაწილია.

სახელები (სახელმწიფი) მოცემულია მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში. ბრუნვის ნიშანი -ი (ბუნებრივია, თანმიმოვანზე ფუძეადმთავრებულ სახელებში) ფუძის გარეთ რჩება და ანბანის რიგზე არ მოქმედებს: ოსურ-ი ქალი, კოჩ-ი კაცი... უფრო წინაა, ვიდრე ოსურადა ქალობა, კოჩანა კაცობა...

სახელებთან (სახელმწიფთანაც) ფრჩხილებში ნაჩვენებია მიცემითი ბრუნვის ფორმა. ეს იმითაა განპირობებული, რომ **დ**, **თ**, **გ**; **ძ**, **ჯ**, **ჩ** თანხმოვნებზე ფუძეადმთავრებულ სახელებში მიცემითი ბრუნვის ნიშნის (სუფიქსი -**ლ**-**ც**) წინ ეს თანხმოვნები, როგორც **წ**ესი, იკარგებიან (სხვა ბრუნვებში ეს პროცესი არ ხდება). მაგ., დულ-ი თავი: დულ-დულს თავს; ღლორთ-ი ღმერთი: ღლორთს-ღლორთ-ის ღმერთს; ნემ-ი კაკალი, ნიგოზი: ნეს-ნემს კაკალს, ნიგოზს; ჯინჯ-ი ძირი: ჯინს-ჯინჯს ძირს და ა.შ. ასევე, ლ თანხმოვანზე ფუძეადმთავრებული სახელები (არსებითი, მელსართავი, მიმღობა) მიცემით ბრუნვაში გვიჩვენებენ

პარალელურ ფორმას: **სოფელი- სოფელს/სოფერს სოფელს; თასილი- თასილს/თასიორს დათსილს...** ლექსიკონში აღნიშნულია შენარჩუნებულია მუგდილურ-სამურზაყანოულ დიალექტში, რ - სენაკურში, განსაკუთრებით მის ბანძურ-მარტვილურ თქმაში. სხვა ბრუნვათა (განსაკუთრებით მოთხრობითი, ვითარებითი...) და მრავლობითი რიყის ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოხსობილი, როცა რაიმე თავისებურებაა მოსალოდნელი; ასე, მაგალითად, მოთხრობით ბრუნვაში - თანხმოვანთა ასიმილაცია: დუღი თაფ: დუთ ქ-ლუღ-ქ თამა; ჯინჯი ძირი: ჯინჯი-ქ- ჯინჯი-ქ ძირმა...; მრავლობით რიყებში - გაუჩინარებული ბოლო ლ თანხმოვნის აღდგენა: თხა: თხა-ლ-ეფი თხები; ჯიმა: ჯიმა-ლ-ეფი ძმები... ასეთი თავისებურებანი შესაბამისი სიტყვის ბუღეშია გათვალისწინებული.

4. მზნებისათვის ამოსავალ ერთეულად მიჩნეულია საწყისი. შემდეგ ნაჩვენებია პირიანი ფორმები (ჩვეულებრივ მესამე პირი) აწმყოს, მყოფადის (ზოგჯერ), წყვეტილის, თურმეობითი პირველისა და თურმეობითი მესამისა (ე.ი. ოთხივე სერიის მეთაური მწკრივები). მზნებთან აღნიშნულია, გარდამავალია ის თუ გარდევალი; გარდევალთან მითითებულია, ენებითა თუ საშუალო. ენებითთან ყურადღება მახვილდება, სტატიკურია თუ შესაძლებლობის ენებითი, ხოლო საშუალო - საშუალ-მოქმედებითა თუ საშუალ-ენებითი. გარდამავალთან გვარი აღნიშნული არ არის.

სათვისო, სასხვისო ქტეების, ენებითი გვარის მზნების, კაუზატივის ფორმებთან, როგორც წესი, მითითებულია, რა მზნის ფორმა აქვს ყოველ მათგანს ამოსავლად. ამავე ბუღეშია მოცემული მიმდგომის ყველა სახეობა.

?

ნიმუში

ჭარუსა (ჭარუსა) სახელო ჭ ა რ უ ნ ს, ი ჭ ა რ უ ე (ნ) ზნათა - წნარა. ქარლადიმი ჭ ა რ უ ა ქოიღყუ - ქალადის (წერილის) წერა დანყო. ირფელ ჯგირობუსა ი ჭ ა რ უ ა ფ უ (ნ) - ყუღაფერ კარგს (კარგობას) იწერება.
ჭარუნს (წოჩარუნს დანერს, წოჩარუნს დანერა, წოჩარუნს/წოჩარუნს დაუნერია წოწოჩარუნს(ნ) დანერდა თურმე) გრდმ წერს.
იჭარუნს (წოჩარუნს დანერა, წოჩარუნს დაუნერია) გრდმ. სათა. ქტ. ჭ ა რ უ ნ ს ზნისა - იწერს.
უჭარუნს (წოჩარუნს დაუნერა, წოჩარუნს/წოჩარუნს დაუნერია) გრდმ. სასხე. ქტ. ჭ ა რ უ ნ ს ზნისა - უწერს.
იჭარუნე(ნ) (წოჩარუნს დანერა ის, წოჩარუნს(ნ) დანერია) გრდმ. ენებ. ჭ ა რ უ ნ ს ზნისა - იწერება.
აჭარუნე(ნ) (წოჩარუნს დაუნერა, წოჩარუნს(ნ) დანერია) გრდმ. ენებ. უ ჭ ა რ უ ნ ს ზნისა - 1. ეწერება; 2. ეღორსება; დაებუდება.
იჭარე(ნ) (წოჩარუნს შესაძლებელი გახდა დანერა,-) გრდმ. შესაძლ. ენებ. ჭ ა რ უ ნ ს ზნისა - შეიძლება დანეროს (// წერა).
აჭარე(ნ) (წოჩარუნს შეძლო 'და'წერა,-, წოწოჩარუნს(ნ) შესაძლებელია დანერა) გრდმ. შესაძლ. ენებ. უ ჭ ა რ უ ნ ს ზნისა - შეუძლია 'და'წეროს.
ოჭარაფუნს (წოჩარუნს აწერინა, წოჩარუნს უწერინება, წოწოჩარუნს(ნ) // წოწოჩარუნს(ნ) აწერინება თურმე) კ ა უ ზ. ჭ ა რ უ ნ ს ზნისა - აწერინებს.
მაჩარაწმ მიჭო. მიჭო. წერალი, დანერო.
წოჩარაწმ მიჭო. ენებ. მე. 'და'სანერი.
ჩარაწმ მიჭო. ენებ. წარს. 'და'წერილი.
ნაჩარა მიჭო. ენებ. წარს. ნანერი.
ნაჩარაწმ მიჭო. ენებ. წარს. გასამრჯელო (საფასური) წერისათვის.
უწოჩარუნს მიჭო. უარყ. 'და'წერელი.

შენიშვნები:

1. მყოფადის მწკრივი არაა წარმოდგენილი, როცა ის აწმყოსაგან იწარმოება მზნისწინის ღართით, არც მაშინ, როცა აღწერით გადმოიყვება.

2. ნოჭარუე (ნ) მესამე თურმეობითა სამივე ქვეყნისათვის (ჭარუნს წერს, იჭარუნს იწერს, უჭარუნს უწერს), ასევე ღინამიკური, სტატიკური და შესაძლებლობის ენებითებისათვის (იჭარუე(ნ) იწერება, აჭარუე(ნ) ეწერება; იჭარე(ნ) შეიძლება დანეროს, აჭარე(ნ) შეუძლია დანეროს; ჭარუე(ნ) წერია), ე.ი. მეოთხე სერიაში საქმე გვაქვს ე.წ. ომოფორმებთან, ამიტომ გამეორების თავიდან ასაცილებლად III თურმეობითი წარმოდგენილია მხოლოდ საარვისო (იშვითად სათავისო) ქვეყასა და კაუმატივთან.

3. შესაძლებლობის ენებითებს საკუთარი წარმოებისა მხოლოდ I და II სერიის მწკრივები აქვთ. III და IV სერია ან საერთოდ არ აქვთ, ანდა (იშვით შემთხვევაში) იყენებენ ღინამიკურ ენებითს. ფორმის არქონა აღნიშნულია ღეფისით (-).

4. მიმლეობებთან არაა მითითება, თუ რა მზნა აქვს თითოეულ მათგანს ამოსაყვად. ამაზე ყურადღება მახეილდება ანბანის რიგზე განლაგებულ მიმლეობებთან.

5. სიტყვის მარბმნსა და სპილუსტრაპიო მასალასთან დაკავშირებით: მეგრული სიტყვის ქართულად თარგმნას ზოგჯერ გარკვეული სირთულე ახლავს. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს მარტივი, როცა ერთი მნიშვნელობა ამოწურავს სიტყვის შინაარსს, და რთული, როცა ერთმანეთისაგან გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელობა. თუ ეს განსხვავება თეატლსაჩინა, თითოეულს ცალ-ცალკე ნომერი უმის.

როცა სიტყვის ერთი მნიშვნელობა მკვეთრად არ განსხვავდება მეორისაგან, გასაკოფ ნიშნად დაისმის // როცა ორი მნიშვნელობა ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, ორივე ერთად იწერება და ერთმანეთისაგან წერტილ-ძიბით იყოფა. როცა გადატანითი მნიშვნელობა გამოსაყოფი, იწერება *გადატ.* და მოცემულია შესაბამისი თარგმანი და ღოკუენტაცია.

თარგმნისას გამოყენებულია იმავე მნიშვნელობის ქართული სიტყვები და დაახლოებით იმგვარივე მნიშვნელობის სინონიმები. ზოგჯერ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები ფრჩხილებშია მითითებული. როცა ზუსტი თარგმანი ვერ ხერხდება, მნიშვნელობა აღწერილობითაა გადმოცემული.

ლექსიკური ერთეულების (განსაკუთრებით მზნების) გადმოქართულებისას ხშირად რამდენიმე ქართული სინონიმი გამოყენებული, მაგრამ პარადიგმებში (ფრჩხილების შიგნით) ამ სინონიმებიდან უმეტეს შემთხვევაში ერთზე მახეილდება ყურადღება, ხოლო შემდეგ, ფრჩხილებს გარეთ, გრამატიკულ კვალიფიკაციას მოსდევს ყველა სინონიმი. ასე, მაგ.:

ღეგარღეგალუა: ღეგარღეგალანს (ღეგარღეგალანს ძლიერ დაინვაეს, ღეგარღეგალანს ძლიერ დაინვა, ღეგარღეგალანს ძლიერ დაუნვაეს, ღეგარღეგალანს ძლიერ დაუნვადა თურმე) *გრძ.* ძლიერ ინვაეს, იდაგავს, იოთუქავს.

თუ მზნა პოლისემიურია, ფრჩხილებს შიგნით ყველა მნიშვნელობა მოცემულია.

უმზნისწინო ფორმის შინაარსი უფრო ნათელი რომ იყოს, საჭიროებისამებრ თარგმნილია მზნისწინიანი ფორმით; მზნისწინი კი ასეთ შემთხვევაში კავებშია ჩასმული.

მაგ., თასუ 'და'თესა; ხაჩქილი 'გა'თონილი; ათუე 'გა'თავა; ოთუეელი 'გა'სათავებელი და ა.შ.

ყოველი სიტყვის თარგმანს მოსდევს საილუსტრაციო მასალა, რომლის ასე უხედა მოწოდება იშვითაა გამართლებული, რომ სწორედ ილუსტრაციები წარმოადგენს ლექსიკონისათვის ყველაზე ფასეულს, რადგან, როგორც წესი, აქაა მოცემული ბუნებრივი გამოთქმები, სიტყვის მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსი და სწორედ ეს ღოკუენტაცია წარმოაჩენს სიტყვის მნიშვნელობას და, ამასთან ერთად, მიგანინებს, რამდენად ვარაუდობს სიტყვა.

საილუსტრაციო მასალა, იშვითი გამონაკლისის გარდა, გარკვეული თანმიმდევრობის დაცვითაა წარმოდგენილი: სახელებთან – ბრუნვისა და რიცხვის, ხოლო საწყისებთან (მზნის პირიან ფორმებთან) – პირის, რიცხვის, მწკრივის, გვარის, ქვეყის, კონტაქტის კატეგორიითა მიხედვით.

მეგრულს აქვს ილიომები. ილიმატური გამოთქმები შავადაა აწყობილი და წინ რომბი (0)უმის. ასეთ გამოთქმებს სათანადო თარგმანი ახლავს და უმეტესწილად ილუსტრაცია – ღოკუენტაციაა დაერთვის. იქვეა

მითითებული ამ იდიომის გადატანით მნიშვნელობაც. იდიომთა გადმოტანას თარგმანში გარკვეული სიძნელე ახლავს. ამიგომ ლექსიკონის მომხმარებელს არ უნდა გაუკვირდეს, თუ ქართული თარგმანი ზოგჯერ სალიტერატურო ენის ნორმებს მთლად არ შეესაბამება.

საილუსტრაციო დოკუმენტაციის უწყრია, საიდანაა მოგანილი. თუ ასეთი მითითება არ არის, იგულისხმება ჩვენ მიერ მოპოვებული (ჩაწერილი) მასალა. დოკუმენტაციაში მითითებულია მხოლოდ წყარო და გვერდი, რადგან რიგ სტამბურად გამოქვეყნებულ ტექსტს არ ახლავს სტრიქონული ადგილი (მაგ., ქართული ხალხური სიტყვიერება, I, II...), ზოგიერთ ტექსტში სტრიქონთა დანომვრის სხვა პრინციპია გამოყენებული (მაგ., ეური ქალეათინ...), ასევე თ.ს.ა.ხ.ო.კ.ი.ა.ს ანდაშეხა და „ახალურ სიბრძნეში“ (გ. I) დასტამბულთ უმით რიცხვები, ხოლო ა.ყ.ან.ა.ე.ას ანდაშეხი მხოლოდ ანბანურ რიგზე აქვს გაწყობილი, ამიგომ მრავალფეროვნების ასაცილებლად ლექსიკონში, როგორც აღინიშნა, მითითებულია ტექსტი და გვერდი.

დოკუმენტაცია ზოგჯერ შეკვეცილია. ასეთ შემთხვევაში გამოტოვებული ადგილი აღნიშნულია მრავალწერტილით. ამრი ნათელი რომ იყოს, ზოგჯერ ფრჩხილებშია ჩასმული სიტყვა, რომელსაც წინადადების შინაარსში სიხალე შეაქვს.

თუ სიტყვას დოკუმენტაცია არ ახლავს, იგულისხმება, წარმოდგენილი სიტყვა შესაბამის კონტექსტში ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ფორმა ბუნებრივი ჩანს. ანდა: სიტყვის მნიშვნელობა იმდენად ნათელია, რომ ზოგჯერ მიზანშეუწონლად ჩაეთვალებს საილუსტრაციო მასალის მოგანა.

საწყისი ფორმის დადგენა როცა ვერ მოხერხდა, ლექსიკონში შევტანეთ პირიანი ფორმა.

მაგ., ქოჯონდას: ღორბთი ქოჯონდას: კ. საბუშ, ქსპ, გვ. 165 – ღმერთი იზამდეს (იქმოდეს).

თუ შეიძლება, რომ სიტყვა შეტყებდეს შემოკლებულადაც (აკლდეს ცალკეული ბგერა, მარცხული...), მაშინ ის ნაწილი ჩასმულია კავებში.

მაგ.: ნარ'ლი ნაღლება (ე.ი. შესაბლებელია ფორმა ნაღ-ც იმავე მნიშვნელობით); 'რჩქეანაფა მრევე... პჭარუ'წქ (//პჭარუ) ეწურ... ქვეცქ'რუ' ოდნე პატარა (ჭორ ქვეცე პატარა); დოთას'ულ'რ'ე (ნ) დათსილა (ჭორ. დოთას(ნ) იმავე მნიშვნელობით).

თუ პარალელურ ფორმებს შორის სემანტიკურად დიდი განსხვავება არ არის, ორივესთვის მიცემითი ბრუნვის ერთი ფორმა სახლებია: მამინე/მინაშა // მამინე/მინაშა (მაგ'ინე/ინაშის) მამამკრიმამ; სმირ'ო // სმირ'ო (სმირის) სმირ'ო. ანდა, თუ სიტყვა ორ ოდნე განსხვავებულ ვარიანტადაა მოსალოდნელი (ან ფაქტიურად არის), ლექსიკონში შეტანილია ორივე ფორმა, ოღონდ მიცემით ბრუნვაში პირველად დასახლებული სიტყვაა: მწმინდა // მწმინდა (მღვინდას): 1. მამბრად ცმამ (მამთარხით, ნენლით); 2. ბამცამა.

როცა ორი მშნა სემანტიკურად თითქმის ერთია, მაგრამ განსხვავებიან ბირეული ხმოვით (ძგვატუა და ძგვიტუა), მაშინ ერთ-ერთთან, როგორც წესი, ა ხმოვინთან (ძგვატუა), არის ნაჩენები ყველა მშნური თუ სახლმშნური ფორმები, ხოლო მეორესთან (ძგვიტუა) მითითებაა პირველზე: მაგ., ასე: მამინამა ძგვატუა.

ლექსიკონში ყველა მშნისწინაა ფორმას არ ახლავს უღლების პარადიგმა. მათ,

მაგ. მამინამა, გინო-ჭარუა, გო-ჭარუა, დო-ჭარუა, მე-ჭარუა..., ახლავთ მითითება იხ. ჭარუა წერა. ეს ნიშნავს: მთლიანი პარადიგმა მხოლოდ ამ უკანასკნელთანაა მოცემული.

თუ რომელიმე მშნას პარადიგმა არ ახლავს, ეს ის შემთხვევაა, როცა უღლების ყველა ფორმა არ დადასტურდა. ასეთია, მაგ., მამინამა ხნამ; მამინამა რომამ...

